

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №153/ნ

2003 წლის 21 ივლისი

ქ. თბილისი

ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების იმპორტისა და ექსპორტის წესის დამტკიცების შესახებ

ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-11 პუნქტისა და 29-ე მუხლის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

1. დამტკიცდეს:

ა) ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების იმპორტისა და ექსპორტის წესი (დანართი №1);

ბ) განცხადება-დეკლარაციის ტიპური ბლანკის ფორმა ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების საიმპორტო ოპერაციის განხორციელებისათვის (დანართი №2);

გ) განცხადება-დეკლარაციის ტიპური ბლანკის ფორმა ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების საექსპორტო ოპერაციის განხორციელებისათვის (დანართი №3);

დ) წინასწარი ნებართვის მოწმობის ფორმა ნარკოტიკული საშუალებების იმპორტზე (დანართი №4);

ე) წინასწარი ნებართვის მოწმობის ფორმა ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტზე (დანართი №5);

ვ) წინასწარი ნებართვის მოწმობის ფორმა „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 1988 წლის კონვენციით გათვალისწინებული პრეკურსორების იმპორტზე (დანართი №6);

ზ) წინასწარი ნებართვის მოწმობის ფორმა ნარკოტიკული საშუალებების ექსპორტზე (დანართი №7);

თ) წინასწარი ნებართვის მოწმობის ფორმა ფსიქოტროპული ნივთიერებების ექსპორტზე (დანართი №8);

ი) წინასწარი ნებართვის მოწმობის ფორმა „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 1988 წლის კონვენციით გათვალისწინებული პრეკურსორების ექსპორტზე (დანართი №9).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

2. ამ ბრძანების ამოქმედებიდან ძალადაკრულად ჩაითვალოს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 16 თებერვლის ბრძანება №19/ო „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების,

ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის და საქართველოს ტერიტორიიდან გატანის წესის დამტკიცების შესახებ“ („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ №17, 2000 წლის 1 მარტი).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებიდან 15 დღეში.

ა.გამყრელიძე

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

დანართი №1

ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების იმპორტისა და ექსპორტის წესი

1. ეს წესი ვრცელდება შესაბამისი ლიცენზიის მქონე, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების (შემდგომში – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები) იმპორტით და ექსპორტით დასაქმებულ იურიდიულ პირზე, განურჩევლად უწყებრივი დაქვემდებარებისა და სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა.

2. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების იმპორტი და ექსპორტი ხორციელდება მხოლოდ შესაბამის საქმიანობაზე სათანადო ლიცენზიის მქონე იურიდიული პირების მიერ, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) შესაბამისად.

3. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტი ნებადართულია სამედიცინო, ფარმაცევტული, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო-დიაგნოსტიკური, ანალიზურ-ლაბორატორიული და ვეტერინარული საჭიროების მიზნით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე და გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო კვოტების ფარგლებში.

4. კანონის II სიაში მითითებული ნარკოტიკული საშუალებების იმპორტისა და მიღების უფლება აქვს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით და საექსპერტო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებებს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო-დიაგნოსტიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებების შემოსატანად კვოტის განსაზღვრა არ არის სავალდებულო.

5. ნარკოტიკული საშუალებების იმპორტი ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაკვეთით.

6. ფარმაცევტული საქმიანობით დაკავებული ნებისმიერი იმპორტიორი და ექსპორტიორი ორგანიზაცია ყოველი საიმპორტო (საექსპორტო) ოპერაციის დაწყებამდე ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარუდგინოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის კონტროლის ბიუროს (შემდგომში – ბიურო) საიმპორტო (საექსპორტო) სამკურნალო საშუალებების ჩამონათვალი მათი სავაჭრო და გენერისული დასახელების, წამლის ფორმის, დოზის ერთეულისა და რაოდენობის ჩვენებით. თუ ჩამონათვალი შეიცავს კომბინირებულ პრეპარატს ან სხვა უცნობი დასახელების მედიკამენტს, მაშინ ბიუროს უფლება აქვს დამატებით მოითხოვოს ამ სამკურნალო საშუალებების სარეგისტრაციო მოწმობა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

7. აღნიშნული ჩამონათვალი ბიუროში მოწმდება საიმპორტო (საექსპორტო) დოკუმენტაციაში კონტროლირებადი ნივთიერების არსებობის დადგენის მიზნით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

8. იმ შემთხვევაში, როდესაც ჩამონათვალი არ შეიცავს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებს დოკუმენტის ყველა პირს, რომელშიც მითითებულია საიმპორტო ან საექსპორტო სამკურნალო საშუალებების ჩამონათვალი, ესმება შტამპი, შესაბამისად, „წინასწარ ნებართვას იმპორტზე არ საჭიროებს“ ან “წინასწარ ნებართვას ექსპორტზე არ საჭიროებს” და მოწმდება ბიუროს პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

9. თუ ჩამონათვალი შეიცავს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას, მაშინ წინასწარი ნებართვის მოწმობის მისაღებად ბიუროს საიმპორტო (საექსპორტო) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამონათვალი წარედგინება ცალკე. ჩამონათვალს უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) შესაბამისი განცხადებადეკლარაცია, რომელიც ივსება №2 ან/და №3 დანართებით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად;

ბ) იმპორტიორ და ექსპორტიორ ორგანიზაციებს შორის დადებული ხელშეკრულების ასლი. ხელშეკრულებას თან უნდა ახლდეს ინვოისი საიმპორტო (საექსპორტო) ნივთიერების ან პრეპარატის შესახებ;

გ) ფარმაცევტული საწარმოს მიერ გაცემული საბუთი, სადაც მოცემული იქნება საექსპორტო პრეპარატში ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან/და პრეკურსორის შემცველობის (სუფთა მოქმედი ნივთიერების) გადასაანგარიშებელი კოეფიციენტი (მხოლოდ ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ექსპორტის განხორციელებისას).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

10. საექსპორტო ოპერაციების განხორციელების დროს, გარდა წინამდებარე დებულების მე-9 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციისა, ბიუროს წარედგინება იმპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წინასწარი საიმპორტო ნებართვა (დედანი) კონკრეტული საექსპორტო სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების რაობისა და რაოდენობის მითითებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

11. წინასწარი ნებართვის მოწმობა გაიცემა მხოლოდ ერთჯერადად შემოსატან (გასატან) რაოდენობაზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

12. ხელშეკრულების ძირითადი პირობების შეცვლისას წინასწარი ნებართვის მოწმობა ფორმდება ხელახლა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

13. წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება წინასწარი ნებართვის მოწმობის მადიებელ იმპორტიორ (ექსპორტიორ) ორგანიზაციას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

14. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემოტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ფაქტობრივი რაოდენობა აღემატება ბიუროს მიერ გაცემულ საიმპორტო ნებართვის მოწმობაში მითითებულ რაოდენობას, საბაჟო ორგანო აცნობებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ფაქტობრივად შემოტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების რაოდენობის შესახებ და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

15. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემოტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ფაქტობრივი რაოდენობა ნაკლებია ბიუროს მიერ გაცემულ საიმპორტო ნებართვის მოწმობაში მითითებულ რაოდენობაზე, საბაჟო ორგანო აცნობებს სამინისტროს შემოტანილი რაოდენობის შესახებ და ატარებს საქონელს, ხოლო სამინისტროს შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანო შეისწავლის მიზეზებს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

16. იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტის განხორციელებისას საბაჟო ორგანოს მიერ აღმოჩენილ იქნა სხვაობა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ფაქტობრივ რაოდენობასა და წინასწარ ნებართვის მოწმობაში მითითებულ რაოდენობას შორის მეტობის ან ნაკლებობის მხარეს, საბაჟო ორგანო აცნობებს ბიუროს საექსპორტო საქონლის ფაქტობრივი რაოდენობის შესახებ, აკავებს საქონელს, რის შემდგომ სამინისტროს შესაბამისი სამსახური და საბაჟო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სწავლობენ მიზეზებს და მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

17. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების იმპორტის და ექსპორტის დროს გაიცემა შემდეგი სახის წინასწარი ნებართვის მოწმობები:

ა) წინასწარი ნებართვის მოწმობა ნარკოტიკული საშუალებების იმპორტზე (ყვითელი ბლანკი);

ბ) წინასწარი ნებართვის მოწმობა ნარკოტიკული საშუალებების ექსპორტზე (ყვითელი ბლანკი);

გ) წინასწარი ნებართვის მოწმობა ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტზე (მწვანე ბლანკი);

დ) წინასწარი ნებართვის მოწმობა ფსიქოტროპული ნივთიერებების ექსპორტზე (მწვანე ბლანკი) – (დანართი №8);

ე) წინასწარი ნებართვის მოწმობა „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 1988 წლის კონვენციით გათვალისწინებული პრეკურსორების იმპორტზე (ვარდისფერი ბლანკი);

ვ) წინასწარი ნებართვის მოწმობა „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 1988 წლის კონვენციით გათვალისწინებული პრეკურსორების ექსპორტზე (ვარდისფერი ბლანკი).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

18. წინასწარი ნებართვის მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში გაიცემა დუბლიკატი, რომელსაც ისეთივე იურიდიული ძალა აქვს, როგორც დედანს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

19. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საიმპორტო ოპერაციის დაწყებამდე, საიმპორტო ჩამონათვალის ყველა პირს ესმევა შტამში „საჭიროებს წინასწარ ნებართვის მოწმობას იმპორტზე“ და მოწმდება ბიუროს პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით. წინასწარი ნებართვის მოწმობა გაიცემა 6 ეგზემპლარად (ექვსივე ეგზემპლარი წარმოადგენს დედანს); აქედან ერთი რჩება ბიუროში, ერთი – იმპორტიორ ორგანიზაციაში და ინახება 5 წლის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები ეგზავნება შემდეგ ორგანიზაციებს:

ა) ექსპორტიორი ქვეყნის მთავრობას ან კომპეტენტურ ორგანოს;

ბ) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტოს;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის შესაბამის სამსახურს 2 ეგზემპლარი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

20. საიმპორტო ოპერაციის განხორციელებისთანავე საბაჟო ორგანოს მიერ ივსება წინასწარი ნებართვის მოწმობის მეორე გვერდზე გამოყოფილი სპეციალური გრაფა ფაქტობრივად იმპორტირებული საქონლის ძირითადი მახასიათებლების (სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების რაობა, რაოდენობა და სხვა), სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ნომრისა და საბაჟო გაფორმების თარიღის მითითებით. ამ დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი რჩება საბაჟოზე, ხოლო მეორე ეგზემპლარი იმპორტიორი ორგანიზაციის მეშვეობით 5 დღის განმავლობაში უბრუნდება ბიუროს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

21. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების იმპორტის შემდეგ ბიურო ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული წესით აწვდის ინფორმაციას ფაქტობრივად იმპორტირებული ნივთიერებების რაოდენობის შესახებ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

22. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ექსპორტის შემდეგ ბიურო იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოდან საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული წესით მოითხოვს ინფორმაციას ექსპორტირებული ნივთიერებების რაოდენობის დანიშნულების ადგილამდე მიტანის შესახებ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

23. ექსპორტის შემთხვევაში ბიუროს მიერ საექსპორტო ჩამონათვალის ყველა ეგზემპლარს ესმევა შტამში „საჭიროებს წინასწარ ნებართვას ექსპორტზე“ და მოწმდება ბიუროს პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით. წინასწარი ნებართვის მოწმობა გაიცემა 6

ეგზემპლარად (ექვსივე ეგზემპლარი წარმოადგენს დედანს); აქედან, ერთი რჩება ბიუროში, ერთი – ექსპორტიორ ორგანიზაციაში და ინახება 5 წლის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები ეგზავნებათ შემდეგ ორგანიზაციებს:

ა) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტოს;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის შესაბამის სამსახურს – 2 ეგზემპლარი;

გ) იმპორტიორი ქვეყნის მთავრობას ან კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

24. საქსპორტო ოპერაციის განხორციელებისთანავე საბაჟო ორგანოს მიერ ივსება წინასწარი ნებართვის მოწმობის მეორე გვერდზე გამოყოფილი სპეციალური გრაფა ფაქტობრივად ექსპორტირებული საქონლის ძირითადი მახასიათებლების (სპეცკონტროლირებადი საშუალებების რაობა, რაოდენობა და სხვა), სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ნომრისა და საბაჟო გაფორმების თარიღის მითითებით. დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი რჩება შესაბამის საბაჟო ორგანოში, ხოლო მეორე ეგზემპლარი ექსპორტიორი ორგანიზაციის მიერ 5 დღის განმავლობაში უბრუნდება ბიუროს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

25. ამ წესის ფარგლებში ნებადართულია იმ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ექსპორტი, რომელთაც გაუვიდათ საქართველოში რეგისტრაციის ვადა.

26. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების იმპორტი (ექსპორტი) ნებადართულია მხოლოდ იმ საბაჟო პუნქტებიდან, რომელთა ნუსხა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ.

27. აკრძალულია ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების:

ა) იმპორტი (ექსპორტი) საფოსტო ყუთის ან ბანკის მისამართით;

ბ) იმპორტი საბაჟო საწყობის მისამართით;

გ) ექსპორტი საბაჟო საწყობის მისამართით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვაში მითითებული იქნება კონკრეტული საბაჟო საწყობი;

გ) ტრანზიტი;

დ) რეექსპორტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობას.

28. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების წინასწარი ნებართვის მოწმობის გარეშე შემოტანის მცდელობისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი უზრუნველყოფს საქონლის უკან დაბრუნებას მომწოდებლის ხარჯით, რის შესახებაც ერთი კვირის ვადაში აცნობებს სამინისტროს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

29. საქართველოში სტიქიური უბედურების ან სხვა საგანგებო სიტუაციების დროს ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების იმპორტიორი ან ექსპორტიორი იურიდიული პირები არ საჭიროებენ წინასწარი ნებართვის მოწმობას. ამ დროს იმპორტირებული სამკურნალო დანიშნულების ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვაზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლის რეჟიმი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

30. თუ საზღვარგარეთ წარმოებული სამკურნალო საშუალება წამლის ფორმის სახით არ ექვემდებარება საერთაშორისო კონტროლს, წინასწარი ნებართვის მოწმობა იმპორტზე გაიცემა იმ შემთხვევაშიც, თუ მწარმოებელი (ექსპორტიორი) ქვეყანა საქართველოს მხარისაგან მოითხოვს აღნიშნულ დოკუმენტს.

ამავე უფლებით სარგებლობა შეუძლია საქართველოს მხარესაც იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან/და პრეკურსორის შემცველი პრეპარატის ექსპორტს ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

31. წინასწარი ნებართვის მოწმობის გაცემაზე გადაწყვეტილება მიიღება განცხადება-დეკლარაციის შემოტანიდან 14 დღის განმავლობაში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

32. წინასწარი ნებართვის მოწმობის გაცემაზე უარის თქმის მოტივების შესახებ 10 დღის ვადაში წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

33. საქართველოში მცხოვრები ავადმყოფის ინდივიდუალური საჭიროებისათვის დაურეგისტრირებელი ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტი ხორციელდება „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ წესის სრული დაცვით.

34. სარეგისტრაციოდ იმპორტირებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ნიმუშები ექვემდებარებიან საბაჟო გაფორმებას და იმპორტიორ ორგანიზაციაში შემოსავალში აყვანას. ამ ნიმუშების რეგისტრაციაზე უფლებამოსილ ორგანოსათვის გადაცემა ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

35. აკრძალულია წინასწარი ნებართვის მოწმობის მესამე პირისათვის გადაცემა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

36. ეს წესი ვრცელდება „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე და კლინიკო-ლაბორატორიული, ფარმაცევტული და სამედიცინო დანიშნულების პრეკურსორებზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

დანართი №2

განცხადება-დეკლარაციის ტიპური ბლანკის ფორმა ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების საიმპორტო ოპერაციის განხორციელებისათვის
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტროს ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის
კონტროლის ბიუროს

იმპორტიორი ორგანიზაციის სრული დასახელება და იურიდიული მისამართი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა - დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

გთხოვთ დაგვრთოთ ნება, რათა _____

ექსპორტიორი ქვეყნის, ორგანიზაციის სრული დასახელება და იურიდიული მისამართი
_____ - დან

განვახორციელოთ შემდეგი კონტროლირებადი ნივთიერებების იმპორტი:

- 1.
- 2.
- 3.

(შემოსატანი კონტროლირებადი ნივთიერებების სავაჭრო და გენერიკული დასახელება, წამლის ფორმის, დოზის ერთეულისა და შემოსატანი რაოდენობისა და მწარმოებელი ფირმის ჩვენებით)

აღნიშნული კონტროლირებადი ნივთიერებები

გამოყენებული იქნება _____ მიზნებისათვის.

იმპორტი განხორციელდება

_____ სახელმწიფოს გავლით _____
(ტრანსპორტის სახეობა, რომლის საშუალებითაც განხორციელდება იმპორტი) (სატრანზიტო ქვეყანა)

საქართველოს საზღვრის გადაკვეთის პუნქტია _____

ტვირთის შემოტანის ვადაა _____

ვადასტურებ, რომ ამ განცხადებაში აღნიშნული ინფორმაცია და წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის სწორი. ამასთან, ვიღებ ვალდებულებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით და დადგენილ ვადებში წარმოვადგინოთ ინფორმაცია ამ განცხადება-დეკლარაციის საფუძველზე განხორციელებული იმპორტის შესახებ.

იმპორტიორი ორგანიზაციის პასუხისმგებელი

პირის ხელმოწერა _____ თარიღი ბ.ა.“.

5. დანართი №3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

დანართი №3

განცხადება-დეკლარაციის ტიპური ბლანკის ფორმა ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების საექსპორტო ოპერაციის განხორციელებისათვის

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის
კონტროლის ბიუროს

ექსპორტიორი ორგანიზაციის სრული დასახელება და იურიდიული მისამართი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა - დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

გთხოვთ დაგვრთოთ ნება, რათა _____

იმპორტიორი ქვეყნის, ორგანიზაციის სრული დასახელება და იურიდიული მისამართი
_____ - ს

მივაწოდოთ შემდეგი კონტროლირებადი ნივთიერებები:

- 1.
- 2.

(გასატანი კონტროლირებადი ნივთიერებების სავაჭრო და გენერიკული დასახელება, წამლის ფორმის, დოზის ერთეულისა და გასატანი რაოდენობისა და მწარმოებელი ფირმის ჩვენებით)

აღნიშნული კონტროლირებადი ნივთიერებები
გამოყენებული იქნება _____ მიზნებისათვის.

ექსპორტი განხორციელდება

_____ სახელმწიფოს გავლით _____

(ტრანსპორტის სახეობა, რომლის საშუალებითაც განხორციელდება ექსპორტი) (სატრანზიტო ქვეყანა)

ტვირთი გატანილი იქნება _____ საბაჟო პუნქტიდან _____

(ტვირთის გატანის ვადა)

იმპორტიორი ქვეყნის საიმპორტო ნებართვის

მოწმობის ნომერი და გაცემის თარიღი _____

ვადასტურებ, რომ ამ განცხადებაში აღნიშნული ინფორმაცია და წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის სწორი. ამასთან, ვიღებ ვალდებულებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით და დადგენილ ვადებში წარმოგიდგინოთ ინფორმაცია ამ განცხადება-დეკლარაციის საფუძველზე განხორციელებული იმპორტის შესახებ.

ექსპორტიორი ორგანიზაციის პასუხისმგებელი

პირის ხელმოწერა _____ თარიღი ბ.ა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

დანართი № 4

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Labour, Health and
Social Affairs of Georgia

წინასწარი ნებართვის მოწმობა ნარკოტიკული საშუალებების იმპორტზე
PRELIMINARY CERTIFICATE ON NARCOTIC DRUGS IMPORT

No 0000

სამინისტრო, რომელსაც დაკისრებული აქვს 1961 წლის ერთიანი კონვენციით გათვალისწინებული ნარკოტიკული საშუალებებისა და მათი წარმოებულების შესახებ კანონის გამოყენება, ნებას რთავს

Ministry, responsible to carry into effect law about narcotic drugs and their derivatives, according to the Convention on narcotic drugs 1961, permit

იმპორტიორი ქვეყნის, ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი:	Name of importing organization and juridical address:

შემოიტანოს საქართველოში _____
to import in Georgia (საბაჟო პუნქტის დასახელება) (customs office)

ექსპორტიორი ქვეყნის, ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი:	Name of exporting country, organization and juridical address:

შემდეგი ნარკოტიკული საშუალებები%
The following narcotic drugs:

პრეპარატის (ნივთიერების) დასახელება, რაოდენობა, ფარმაცევტული ფორმა	Name amount pharmaceutical form and of the imported substances

ტრანსპორტის სახეობა
sort of transportation _____

აღნიშნული გამოყენებული იქნება
which will be used _____

ნებართვის გაცემის თარიღი
Date of certificate issue „_____“ _____ 200

ნებართვის მოქმედების ვადა
Date of expiry „_____“ _____ 200

ხელმოწერა
ბ.ა.

გვერდი 1

იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოს დასტური წინამდებარე ნებართვით გათვალისწინებული ნივთიერებების ფაქტობრივი რაოდენობის იმპორტის შესახებ

Importing country's customs indorsement on import of actual amount of substanses present certificate

გთხოვთ შევსებული და დამოწმებული დაგვიბრუნოთ შემდეგ მისამართზე: 380160 თბილისი, კონსტანტინე გამსახურდიას გამზ. 30

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
Please return to:
Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia
Konstantine Gamsakhurdia avenue 30, 380160, Tbilisi, Georgia.

“
გვერდი 2

7. დანართი №5 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს
ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

დანართი №5

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Labour, Health and
Social Affairs of Georgia

წინასწარი ნებართვის მოწმობა ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტზე
PRELIMINARY CERTIFICATE ON PSYCHOTROPIC SUBSTANCES IMPORT

No 0000

სამინისტრო, რომელსაც დაკისრებული აქვს 1971 წლის ერთიანი კონვენციით
გათვალისწინებული ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და მათი წარმოებულების შესახებ
კანონის გამოყენება, ნებას რთავს

Ministry, responsible to carry into effect law about psychotropic substances and their derivatives,
according to the Convention on psychotropic substances 1971, permit

იმპორტიორი ქვეყნის, ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი:	Name of importing organization and juridical address:

შემოიტანოს საქართველოში _____
to import in Georgia (საბაჟოს დასახელება) (customs office)

ექსპორტიორი ქვეყნის, ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი:	Name of exporting country, organization and juridical address:

შემდეგი ფსიქოტროპული საშუალებები:
The following psychotropic substances

პრეპარატის (ნივთიერების) დასახელება, რაოდენობა, ფარმაცევტული ფორმა	Name amount pharmaceutical form and of the imported substances
--	--

ტრანსპორტის სახეობა

sort of transportation _____

აღნიშნული გამოყენებული იქნება

which will be used _____

ნებართვის გაცემის თარიღი

Date of certificate issue "_____" _____ 200

ნებართვის მოქმედების ვადა

Date of expiry "_____" _____ 200

ხელმოწერა

ბ.ა.“.

გვერდი 1

იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოს დასტური წინამდებარე ნებართვით გათვალისწინებული ნივთიერებების ფაქტობრივი რაოდენობის იმპორტის შესახებ

Importing country's customs indorsement on import of actual amount of substanses present certificate

<p>გთხოვთ შევსებული და დამოწმებული დაგვიბრუნოთ შემდეგ მისამართზე: 380160 თბილისი, კონსტანტინე გამსახურდიას გამზ. 30 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო <u>Please return to:</u> Ministry of Laboyr, Health and Social Affairs of Georgia Konstantine Gamsakhurdia avenue 30, 380160, Tbilisi, Georgia.</p>

“.

გვერდი 2

8. დანართი №6 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

დანართი №6

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia

წინასწარი ნებართვის მოწმობა „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 1988 წლის კონვენციით გათვალისწინებული პრეკურსორების იმპორტზე

PRELIMINARY CERTIFICATE ON PRECURSORS IMPORT SPECIFIED BY CONVENTION 1988

No 0000

სამინისტრო, რომელსაც დაკისრებული აქვს „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ გაეროს 1988 წლის კონვენციით გათვალისწინებული პრეკურსორებისა და ქიმიური ნივთიერებების შესახებ კანონის გამოყენება, ნებას რთავს

Ministry on narcotic drugs control, responsible to carry into effect law about chemical substances, according to the Convention on chemical substances, 1988, permit:

იმპორტიორი ქვეყნის, ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი:	Name of importing organization and juridical address:

შემოიტანოს საქართველოში _____
to import in Georgia (საბაჟოს დასახელება) (customs office)

ექსპორტიორი ქვეყნის, ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი:	Name of exporting country, organization and juridical address:

შემდეგი პრეკურსორები:
The following precursors:

პრეპარატის (ნივთიერების) დასახელება, რაოდენობა, ფარმაცევტული ფორმა	Name amount pharmaceutical form and of the imported substances

ტრანსპორტის სახეობა
sort of transportation _____
აღნიშნული გამოყენებული იქნება
which will be used _____

ნებართვის გაცემის თარიღი
Date of certificate issue „———“ ————— 200
ნებართვის მოქმედების ვადა
Date of expiry „———“ ————— 200

ხელმოწერა
ბ.ა.“.

გვერდი 1
იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოს დასტური წინამდებარე ნებართვით
გათვალისწინებული ნივთიერებების ფაქტობრივი რაოდენობის იმპორტის შესახებ
Importing country's customs indorsement on import of actual amount of substanses present
certificate

გთხოვთ შევსებული და დამოწმებული დაგვიბრუნოთ შემდეგ მისამართზე:
380160 თბილისი, კონსტანტინე გამსახურდიას გამზ. 30
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
Please return to:
Ministry of Laboyr, Health and Social Affsors of Georgia
Konstantine Gamsakhurdia avenue 30, 380160, Tbilisi, Georgia.

*საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს
ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751*

დანართი №7

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Labour, Health and
Social Affairs of Georgia

წინასწარი ნებართვის მოწმობა ნარკოტიკული საშუალებების ექსპორტზე
PRELIMINARY CERTIFICATE ON NARCOTIC DRUGS EXPORT

No 0000

სამინისტრო, რომელსაც დაკისრებული აქვს 1961 წლის ერთიანი კონვენციით
გათვალისწინებული ნარკოტიკული საშუალებებისა და მათი წარმოებულების შესახებ
კანონის გამოყენება, ნებას რთავს

Ministry, responsible to carry into effect law about narcotic drugs and their derivatives, according
to the Convention on narcotic drugs 1961, permit

ექსპორტიორი ქვეყნის, ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი:	Name of exporting organization and juridical address:

გაიტანოს საქართველოდან _____
to export from Georgia (საბაჟოს დასახელება) (customs office)

იმპორტიორი ქვეყნის ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი:	Name of importing country, organization and juridical address:

შემდეგი ნარკოტიკული საშუალებები%
The following narcotic drugs:

პრეპარატის (ნივთიერების) დასახელება, რაოდენობა, ფარმაცევტული ფორმა	Name amount pharmaceutical form and of the imported substances

ტრანსპორტის სახეობა
sort of transportation _____
საიმპორტო წინასწარი ნებართვის № და გაცემის თარიღი:
Importing preliminary certificate N and date of expiry:

--

აღნიშნული გამოყენებული იქნება
which will be used _____

ნებართვის გაცემის თარიღი
Date of certificate issue " _____ " _____ 200
ნებართვის მოქმედების ვადა
Date of expiry " _____ " _____ 200

ხელმოწერა
ბ.ა.

გვერდი 1
Endorsement by importing country

Please return to: Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia Konstantine Gamsakhurdia avenue 30, 380160, Tbilisi, Georgia

ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოს დასტური წინამდებარე ნებართვით
გათვალისწინებული ნივთიერებების ფაქტობრივი რაოდენობის ექსპორტის შესახებ

Exporting country's customs indorsement on export of actual amount of substanses specified by present certificate

<p>გთხოვთ შევსებული და დამოწმებული დაგვიბრუნოთ შემდეგ მისამართზე: 380160 თბილისი, კონსტანტინე გამსახურდიას გამზ. 30 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო Please return to: Ministry of Laboyr, Health and Social Affsors of Georgia Konstantine Gamsakhurdia avenue 30, 380160, Tbilisi, Georgia.</p>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751

დანართი № 8

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
 სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Labour, Health and
 Social Affairs of Georgia

წინასწარი ნებართვის მოწმობა ფსიქოტროპული ნივთიერებების ექსპორტზე
 PRELIMINARY CERTIFICATE ON PSYCHOTROPIC SUBSTANCES EXPORT

No 0000

სამინისტრო, რომელსაც დაკისრებული აქვს 1971 წლის კონვენციით გათვალისწინებული ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და მათი წარმოებულების შესახებ კანონის გამოყენება, ნებას რთავს

Ministry, responsible to carry into effect law about psychotropic substances and their derivatives, according to the Convention on psychotropic substances 1971, permit

ექსპორტიორი ქვეყნის, ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი:	Name of exporting organization and juridical address:

გაიტანოს საქართველოდან
 to export from Georgia (საბაჟოს დასახელება) (customs office)

იმპორტიორი ქვეყნის ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი:	Name of importing country organization and juridical address:

შემდეგი ფსიქოტროპული საშუალებები:

The following psychotropic substances

პრეპარატის (ნივთიერების) დასახელება, რაოდენობა, ფარმაცევტული ფორმა	Name amount pharmaceutical form and of the imported substances

ტრანსპორტის სახეობა

sort of transportation _____

საიმპორტო წინასწარი ნებართვის N და გაცემის თარიღი:

Importing preliminary certificate N and date of expiry:

--

აღნიშნული გამოყენებული იქნება

which will be used _____

ნებართვის გაცემის თარიღი

Date of certificate issue "_____" _____ 200

ნებართვის მოქმედების ვადა

Date of expiry "_____" _____ 200

ხელმოწერა

ბ.ა.“.

გვერდი 1

Endorsement by importing country

Please return to: Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia Konstantine Gamsakhurdia avenue 30, 380160, Tbilisi, Georgia

ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოს დასტური წინამდებარე ნებართვით გათვალისწინებული ნივთიერებების ფაქტობრივი რაოდენობის ექსპორტის შესახებ

Exporting country's customs indorsement on export of actual amount of substanses specified by present certificate

გთხოვთ შევსებული და დამოწმებული დაგვიბრუნოთ შემდეგ მისამართზე: 380160 თბილისი, კონსტანტინე გამსახურდიას გამზ. 30 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო Please return to: Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia Konstantine Gamsakhurdia avenue 30, 380160, Tbilisi, Georgia.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Labour, Health and
Social Affairs of Georgia

წინასწარი ნებართვის მოწმობა „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“

1988 წლის კონვენციით გათვალისწინებული პრეკურსორების ექსპორტზე

PRELIMINARY CERTIFICATE ON PRECURSORS EXPORT SPECIFIED BY CONVENTION
1988

No 0000

სამინისტრო, რომელსაც დაკისრებული აქვს „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 1988 წლის კონვენციით გათვალისწინებული პრეკურსორებისა და

Ministry, responsible to carry into effect law about chemical substances, according to the Convention on chemical substances, 1988, permit:

ექსპორტიორი ქვეყნის, ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი:	Name of exporting organization and juridical address:

გაიტანოს საქართველოდან _____
to export from Georgia (საბაჟოს დასახელება) (customs office)

იმპორტიორი ქვეყნის ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი:	Name of importing country, organization and juridical address:

შემდეგი პრეკურსორები:
The following precursors:

პრეპარატის (ნივთიერების) დასახელება, რაოდენობა, ფარმაცევტული ფორმა	Name amount pharmaceutical form and of the imported substances

ტრანსპორტის სახეობა

sort of transportation _____

საიმპორტო წინასწარი ნებართვის № და გაცემის თარიღი

Importing preliminary certificate N and date of expiry:



აღნიშნული გამოყენებული იქნება

which will be used _____

ნებართვის გაცემის თარიღი

Date of certificate issue " _____ " _____ 200

ნებართვის მოქმედების ვადა

Date of expiry " _____ " _____ 200

ხელმოწერა

ბ.ა.:

გვერდი 1

Endorsement by importing country

Please return to:
Ministry of Laboyr, Health and Social Affers of Georgia
Konstantine Gamsakhurdia avenue 30, 380160, Tbilisi, Georgia

ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოს დასტური წინამდებარე ნებართვით გათვალისწინებული ნივთიერებების ფაქტობრივი რაოდენობის ექსპორტის შესახებ

Exporting country's customs indorsement on export of actual amount of substanses specified by present certificate

გთხოვთ შევსებული და დამოწმებული დაგვიბრუნოთ შემდეგ მისამართზე:
380160 თბილისი, კონსტანტინე გამსახურდიას გამზ. 30
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
Please return to:
Ministry of Laboyr, Health and Social Affaors of Georgia
Konstantine Gamsakhurdia avenue 30, 380160, Tbilisi, Georgia.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №193/ნ-სსმIII, №86, 13.08.2004წ., მუხ.751